

შპს „მონომ“

საიდენტიფიკაციო კოდი: 415106281

2021 წლის ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი:

ფინანსური მგომარეობის ანგარიშგება -----	3
მოგება/ზარალის ანგარიშგება -----	5
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება -----	6
ძირითადი საშუალებების მოძრაობის ანგარიშგება -----	7
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება -----	8
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები -----	9

შპს "მონომ"

ს/კ 415106281

ფინანსური ანგარიშგების უწყისი


შენიშვნები		31.12.2020	31.12.2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	1	59,767	66,397
სხვა მიმდინარე აქტივები		-	-
ბიოლოგიური აქტივი		-	-
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში		-	-
		59,767	66,397
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და მათი ექვივალენტები	2	100,443	224,368
სავაჭრო და მოკლევადიანი მოთხოვნები	3	22,023,495	13,887,740
გადახდილი ავანსები	4		
სხვა მიმდინარე აქტივები	5		
მარაგები	6	842,229	3,498,329
მისაღები დივიდენდები და პროცენტები		-	-
		22,966,167	17,610,437
მთლიანი აქტივები		23,025,934	17,676,834
მთლიანი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი		23,166	23,166
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		10,894,007	7,322,456
გადაფასების რეზერვი		-	-
სხვა რეზერვები		-	-
		10,917,173	7,345,622
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	7	12 108 079	10,330,483
სახელფასო ვალდებულებები	8		
საგადასახადო ვალდებულებები	9	682	729
მოკლევადიანი საბანკო სესხი		-	-
საპროცენტო ვალდებულება		-	-
სხვა მოკლევადიანი სესხი		-	-

	12,108,761	10,331,212
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი საბანკო სესხი	-	-
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-
	-	-
სულ ვალდებულებები	12,108,761	10,331,212
სულ მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები	23,025,934	17,676,834

ხელმოწერილი პირები:

ბაბულია ტალიაშვილი

დირექტორი




30 სექტემბერი 2022

თბილისი, საქართველო

შპს "მონომ"
ს/კ 415106281

მოგება - ზარალის ანგარიშგება

		31.12.2021	31.12.2020
შემოსავალი რეალიზაციიდან	10	18,645,316	20,660,313
სხვა შემოსავალი	11	(968,222)	(1,504,372)
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	12	13,987,545	12,799,782
საერთო მოგება		3,689,549	6,356,159
სულ საოპერაციო ხარჯები			
სხვა შემოსავალი		-	(196,666)
საპროცენტო შემოსავალი		-	-
მომსახურე პერსონალის ხელფასები	13	40,500	6,750
ცვეთა და ამორტიზაცია	14	6,630	862
საპროცენტო ხარჯი		-	-
იჯარის ხარჯი	15	42,531	22,238
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	16	28,337	22,080
		117,998	(144,736)
საოპერაციო მოგება		3,571,551	6,500,895
მოგება დაბეგვრამდე		3,571,551	6,500,895
წმინდა მოგება		3,571,551	6,500,895
სხვა შემოსავალი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		3,571,551	6,500,895


ხელმომწერი პირები:

ბაბუღია ტალიაშვილი

დირექტორი

30 სექტემბერი 2022

თბილისი, საქართველო




შპს "მონომ"
ს/კ 415106281

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება
(ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2021 წლის 1 იანვარი	23,166	-	7,322,456	7,345,622
წმინდა მოგება	-	-	3,571,551	3,571,551
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	3,571,551	3,571,551
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
2021 წლის 31 დეკემბერი	23,166	-	10,894,007	10,917,173

ხელმომწერი პირები:

ბაბულია ტალიაშვილი

დირექტორი

30 სექტემბერი 2022

თბილისი, საქართველო




მონომ"

ს/კ 415106281

**ძირითადი საშუალებების მოძრაობის უწყისი
(ლარი)**

	მიწის ნაკვეთები ადჭურვილობა	სხვა არამატერიალური აქტივები კომპიუტერული ტექნიკა	ავეჯი და ოფისის შენობა ნაგებობა	სულ		
31 დეკემბერი 2020	-	-	24,510	876	41,011	66,397
ცვეთა და ამორტიზაცია	-	-	4,902	88	1,640	6,630
გასვლა	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2021	-	-	19,608	788	39,371	59,767

ნეტო საბალანსო ღირებულება 31.12.2021 59,767

ხელმომწერი პირები:

ბაბუღია ტალიაშვილი

დირექტორი

30 სექტემბერი 2022

თბილისი, საქართველო




შპს "მონომ"
ს/კ 415106281

ფულადი სახსრების მოძრაობა

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	10,826,580	10,210,415
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(10,950,505)	(9,986,555)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-	-
წმინდა ფულადი ნაკადების ზრდა/კლება ფულად სახსრებსა და საბანკო ანგარიშებზე	(123,925)	223,860
გაცვლითი კურსის ეფექტი ფულად სახსრებსა და საბანკო ანგარიშებზე	-	-
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	224,368	-
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასასრულს	100,443	224,368

ხელმომწერი პირები:

ბაბულია ტალიაშვილი
დირექტორი




30 სექტემბერი 2022
თბილისი, საქართველო

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს "მონომ" (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. იგი დაარსდა და საგადასახადო ორგანოში დარეგისტრირდა 2019 წლის 4 ოქტომბერს, მისი საიდენტიფიკაციო კოდია 415106281, მისი საქმიანობაა მედიკამენტებით საბითუმო ვაჭრობა, იმპორტი და ექსპორტი.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. ფოთი, თავისუფალი ინდუსტრიული ზონა (ნავსადგურის ყოფილი ექსტენსიური განვითარების ზონა), ნაკვეთის შიდა ნომერი, 1B-7T/145. აღნიშნულ საოფისე ფართზე კომპანიას გაფორმებული აქვს საიჯარო ხელშეკრულება 25 წლის ვადით. კომპანია თავის საქმიანობას ახორციელებს ფოთის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში, ასევე გააჩნია საქმიანობის ლიცენზია #424/ST/1B-7T/145/2021. ლიცენზიის გამცემი ორგანოა შპს ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა, ლიცენზიის გაცემის თარიღია 4 ოქტომბერი 2019. ყოველწლიურად ხდება ლიცენზიის განახლება და შესაბამისად კომპანია თავის საქმიანობას ახორციელებს ამ ლიცენზიის ფარგლებში, შესაბამისად იგი სარგებლობს საგადასახადო შეღავათებით.

კომპანიას მიწის საიჯარო ხელშეკრულება გაფორმებული აქვს 25 წლიანი იჯარით, მის სარგებლობაშია 2500 კვ.მ მიწის ნაკვეთი #287 და 2020 წლის 31 დეკემბრისთვის სამეწარმეო საქმიანობას ახორციელებდა აღნიშნულ მისამართზე. ორივე საიჯარო ხელშეკრულება გაფორმებულია და დამოწმებული ნოტარიულად.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დამფუძნებელთა წილობრივი მონაცემები შემდეგია:

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ეტობარ ვალიევ, P3858422 /აზერბაიჯანი

100%

მეკავშირე საწარმოები

შპს "მონომ"-ს არ გააჩნია მეკავშირე საწარმოები ან ფილიალები.

სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

საქართველოში ანგარიშწორების ვალუტა არის ლარი, შესაბამისად ყველა წარმოდგენილი ანგარიში არის ეროვნულ ვალუტაში. კომანიას გააჩნია ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, რომელიც თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის არსებულ ეროვნულ ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით, ანგარიშის მომენტისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივი და სავაჭრო მოთხოვნები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში სქართველოს

ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით, ანგარიშსწორების დროს წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე

უცხოური ვალუტის კონვერტირებისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

31 დეკემბერი 2020 წელი - 1 აშშ დოლარი / ლარი	- 3.2795
1 ევრო/ლარი	- 4.0233
31 დეკემბერი 2021 წელი - 1 აშშ დოლარი / ლარი	- 3,0966
1 ევრო/ლარი	- 3.5040

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

საქართველოს ტერიტორიული მდებარეობა კომპანიას ხელს უწყობს გაზარდოს თავის საქმიანობის სფერო, რადგანაც იგი ახდენს მედიკამენტების იმპორტს და ექსპორტს როგორც საქართველოში, ასევე საქართველოს საზღვრებს გარეთ, ისეთ ქვეყნებში როგორიცაა აზერბაიჯანი, უკრაინა, ყაზახეთი, ყირგიზეთი, თურქმენეთი, ბელორუსია, მოლდავეთი. საქართველოში არსებული ბიზნეს გარემო სტიმულს აძლევს კომპანიას გააფრთოვოს ბიზნესი. მენეჯმენტის მხრიდან ასევე დადებითადაა შეფასებული საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილი პირობები.

3. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგენა მომზადებულია საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და განმარტებით შენიშვნებს.

ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია და წარმოდგენილია ქართულ ლარში.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფასს_თან შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მსჯელობებს, შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკაზე და

წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლების და ხარჯების ოდენობაზე. ფაქტობრივი შედეგი შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებისგან.

წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებებზე, მენეჯმენტის შეფასებით კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება, საადრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგად გამოწვეული ცვლილებები აღიარდება იმ პერიოდში როდესაც მოხდა მათი გადახედვა.

4. მნიშვნელოვანი საადრიცხვო პოლიტიკა

აქტივებისა და ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიან და გრძელვადიანად.

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი გრძელვადიანი და მოკლევადიანი კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მოკლევადიანია როდესაც მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან მოხმარება მისი საოპერაციო ციკლის პერიოდში, ანუ 1 წელზე მოკლე პერიოდში, ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია თუ მისი დაფარვა დაგეგმილია ჩვეულებრივი საოპერაციოს ციკლის პერიოდში, ან მისი დაფარვა დაგეგმილია ამ ვალდებულების წარმოშობიდან თორმეტ თვიან პერიოდში, ყველა სხვა ვალდებულება გრძელვადიანია

5. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები (შენიშვნა 2)

	<u>31.12.2021</u>	<u>31.12.2020</u>
<u>ფული და მათი ექვივალენტები</u>	<u>100,443</u>	<u>224,368</u>

ფული და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში არსებულ ანგარიშებზე უცხოური ვალუტის ჩათვლის მათი ეროვნული ბანკის მიერ არსებული გაცვლითი კურსის შესაბამის ექვივალენტში. იგი ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელოვანეს რისკს.

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (შენიშვნა 3)

	<u>31.12.2020</u>	<u>31.12.2020</u>
სავაჭრო და მოკლევადიანი მოთხოვნები	22,023,495	13,887,740

გადახდილი ავანსები	-	-
სხვა მიმდინარე აქტივები	-	-
სულ	22,023,495	13,887,740

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღიარდება გარიგების ფასით მათი წარმოშობის მომენტისთვის, უცხოურ ვალუტაში არსებული მოთხოვნა აღიარდება მათი წარმოშობის დღეს არსებული ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსის შესაბამისად. კომპანია ყველა მომხმარებელთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება და მოქმედებს ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

გასაყიდი პროდუქციის ღირებულების წინასწარ საავანსოდ თანხის გადახდა არ ხდება და შესაბამისად კომპანიას არ გააჩნია გადახდილი ავანსები და ასევე სხვა მიმდინარე აქტივები. (შენიშვნა 4,5)

7. ძირითად საშუალებები (შენიშვნა 1)

გრძელვადიანი აქტივები	31.12.2021	31.12.2020
<u>ძირითადი საშუალებები</u>	<u>59,767</u>	<u>66,397</u>

ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათი თავდაპირველ თვითღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვთის ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირითადი საშუალების ღირებულება შედგება შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებულ იმპორტის გადასახადის ან სხვა პირადიპირი ხარჯის გათვალისწინებით.

მცირე შეკეთება ან რემონტი გაითვალისწინება მოგება/ზარალის ანგარიშში მისი წარმოშობისთანავე. ყველა აქტივი წარმოდგენილია მისი საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით თუ ასეთი შემთხვევა არსებობს.

ძირითადი საშუალების რეალიზაციის ან ჩამოწერით მისაღები სარგებელი ან ზარალი აღირიცხება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში.

8. ცვეთა (შენიშვნა 14)

კომპანია არსებულ ძირითად საშუალებებზე იყენებს ცვეთის წრფივ მეთოდს, რათა მოხდეს მისი შესყიდვის ხარჯების გადანაწილება მისი სასარგებლო მომსახურეობის ვადაზე. (შენიშვნა. 14)

სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)

შენობა - ნაგებობები	25
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	10
კომპიუტერული ტექნიკა	5
სხვა არამატერიალური აქტივები	7

ნარჩენი ღირებულება არის ის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან. ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადა გადაითვლება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

9. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები/მარაგები (შენიშვნა 6)

კომპანია ახდენს საქონლის იმპორტს სხვადასხვა მომწოდებლისგან, მარაგების სახით განათავსებს მათ თავის სასაწყობო ფართში, და მოთხოვნის შესაბამისად ახდენს მათ ექსპორტს წინასწარ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. აღნიშნული ოპერაციები აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, ხოლო სააბგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული სასაქონლო მარაგები აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში.

	31.12.2021	31.12.2020
მარაგები	842,229	3,498,329

10. სავაჭრო ვალდებულებები (შენიშვნა 7)

კომპანიას გააჩნია კრედიტორული დავალიანება მომსახურების გამწევი პირების მიმართ, მათი აღიარება ხდება მათი წარმოშობის მომენტისთვის, არარეზიდენტის შემთხვევაში ვალდებულება აღიარდება ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად, ანგარიშწორება ასევე ხდება შესაბამის ვალუტაში და საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება ან ზარალი აისახება მოგება/ზარალის ანგარიშში.

მიმდინარე ვალდებულებები	31.12.2021	31.12.2020
<u>სავაჭრო ვალდებულებები</u>	<u>12,108,079</u>	<u>10,330,483</u>

11. სახელფასო ვალდებულებები (შენიშვნა 8, 13)

კომპანიის თანამშრომლებზე გაცემული ანაზღაურება

	31.12.2021
მომსახურე პერსონალის ხელფასები	40,500

კომპანიის თანამშრომლებზე სახელფასო ანაზღაურების დარიცხვა ხდება შესაბამის საანგარიშო თვეში, როდესაც ხდება მათი გამომუშავება, ხოლო როდესაც ხდება ხელფასის გადახდა ამავე დღეს ხდება მისი დაბეგვრა გადახდის წყაროსთან. საანგარიშო პერიოდის დასასრულს კომპანიას სახელფასო ვალდებულება არ გააჩნია.

12. საგადასახადო ვალდებულებები (შენიშვნა 9)

კომპანიას საგადასახადო ვალდებულებების სახით ანგარიშის წარდგენის მდგომარეობით დავალიანება არ უფიქსირდება. იგი ბიუჯეტში იხდის ხელფასის საშემოსავლოს და საქართველოს რეზიდენტ პირებზე პროდუქციის ექსპორტის დროს წარმოშობილ ექსპორტის გადასახადს 4% ოდენობით. აღნიშნული გადასახადების დარიცხვა და გადახდა ხდება შესაბამის საანგარიშო პერიოდში.

13. გრძელვადიანი ვალდებულებები

კომპანიას არ გააჩნია გრძელვადიანი ვალდებულებები, არც საბანკო სესხი ან რაიმე სხვა მოკლევადიანი სხვა ვალდებულება.

14. ძირითადი შემოსავალი და საგადასახადო კანონმდებლობა (შენიშვნა 10,11,12)

	31.12.2021
შემოსავალი რეალიზაციიდან	18,645,316
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	13,987,545

შპს „მონომ“-ს საქმიანობაა მედიკამენტების იმპორტი და ექსპორტი, იმპორტის და ექსპორტის შემთხვევაში პროდუქცია საჭიროებს საბაჟო გაფორმებას და შესაბამისად ყველა აღნიშნული ოპერაციის

დროს ხდება მათი დეკლარირება. შემოსავალში აღიარება ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად. ანგარიშწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშწორების სახით უცხოურ ვალუტაში, ხოლო საქართველოს რეზიდენტის კომპანიების შემთხვევაში ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსის მიხედვით, ამ ოპერაციის გამოწვეული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშში.

15. იჯარის და სხვა ადმინისტრაციული ხარჯები. (შენიშვნა 15)

31.12.2021

იჯარის ხარჯი	42,531
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	28,337

იჯარის ხარჯი (შენიშვნა 15)

კომპანიას იჯარით აქვს აღებული საოფისე ფართი და მიწა ქ. ფოთი, თავისუფალი ინდუსტრიული ზონა (ნავსადგურის ყოფილი ექსტენსიური განვითარების ზონა), ნაკვეთის შიდა ნომერი, 1B-7T/145. და ამავე ტერიტორიაზე 2500კვ.მ მიწის ნაკვეთი #287 სადაც იგი ახორციელებს თავის სამეწარმე საქმიანობას. იჯარის თანხის გადახდას იგი ახდენს ყოველთწლიურად ლიცენზიის განახლებასთან ერთად და შესაბამისად აღნიშნული ხარჯი ასახულია მოგება/ზარალის ანგარიშგებაში.

სხვა ადმინისტრაციული ხარჯები(შენიშვნა 16)

კომპანიას ასევე გააჩნია ადმინისტრაციული ხარჯები, როგორცაა კომუნალური, სამეურნეო, კომპიუტერული და სხვა ხარჯები, რომლებიც შესაბამის საანგარიშო პერიოდში არის დარიცხული და ასახულია მოგება/ზარალის ანგარიშგებაში.

16. დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები

კომპანიას როგორც ზემოთ ვახსენეთ არ ჰყავს დაკავშირებული კომპანიები.

17. საადრიცხო პოლიტიკის ცვლილება

ცვლილებები საადრიცხო პოლიტიკაში არ გამოვლენილა, შესადარისი ინფორმაცია დარჩა უცვლელი წინა საანგარიშო პერიოდის შემდგომ.

18. სხვა შემოსავლები

კომპანიას 2021 წლის საანგარიშო პერიოდში სხვა დამატებითი საქმიანობიდან შემოსავალი არ უფიქსირდება.

19. საანგარიშო პერიოდის შემდგომი არამაკორექტირებელი მოვლენები

ანგარიშგების თარიღის შემდგომ, COVID-19-ის პანდემიის გავრცელებამ მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინა მსოფლიო ეკონომიკაზე და ქვეყნის გარკვეულ მაჩვენებლებზე. მომავალზე გაუარესებულმა შეხედულებამ გამოიწვია სავალუტო ბაზრის არამდგრადობა რაც გამოიხატა ლარის მნიშვნელოვან გაუფასურებაში დოლართან და ევროსთან მიმართებაში. მიუხედავად არსებული გაურკვევლობისა, საქართველოს ეროვნული ბანკი იღებს სხვადასხვა ზომებს ინდუსტრიაზე და ზოგადად ეკონომიკაზე უარყოფითი გავლენის შესამცირებლად, თუმცა ხელმძღვანელობა წინასწარ ვერ ახდენს ამ ზომების შედეგების წინასწარ განსაზღვრას.

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.

ხელმოწერილი პირები:



ბაბუღია ტაღიაშვილი

დირექტორი

30 სექტემბერი 2022წ.

თბილისი, საქართველო

